შაბათი, 1918 წ. აგვისტოს 3 № 139

წლიწადი მეორე

შაბათი, 1918 წ. აგვისტოს 3 № 139

ფასი 30 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

ღრმად მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფლები: გუჯუ ბიჭიას ძე და მეუღლე მისი პელაგია ჩიქვანის ასული ასათიანები, აგრაფინა ლორთქიფანიძის ასული ასათიანისა, მელქისედეკ და შალვა გუჯუს-ძენი ასათიანები, ლიდა და ცაცა ასათიანებისა, ნინა და სერგო მახარაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ. და მეგობრებს, პირველნი საყვარელ შვილისას, მეორენი ძვირფასის ძმისას, მესამე უსაყვარლესი მეუღლის, მეოთხენი დაუვიწყარი მაზლის და მეხუთენი საყვარელი ძმისა და ცოლი ძმის ლეჩხუმის ფრონტზე გმირულად დაღუპულის პორუჩიკ

**დავით (დათიკო) გუჯუს-ძე ასათიანისას.**

დასაფლავება მოხდება შაბათს, 3 აგვისტოს საღამოს 5 საათზე, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 ს. გამოასვენებენ ჭავჭავაძის ქუჩიდან, სერგო მახარაძის სახლიდან.

ღრმათ დამწუხრებულნი ბიძა კონსტანტინე (კოტე) იოსების ძე და ბიცოლა ანიკო გრიგოლის ასული აბდუშელიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 ივლისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი დისწული სტუდენტი

**ალექსანდრე (ალიკო), ირაკლის ძე**

**გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე.**

ცხედრის გამოსვენება მოხდება 2 ამა აგვისტოს, საღამოს 6 საათზე მთავარ-ანგელოზის ეკლესიიდან რკინის-გზის სადგურზედ, საიდგანაც მიცვალებულს წაასვენებენ დ. საჩხერეში, დაკრძალვა კი მოხდება 4 აგვისტოს, საჩხერის ტაძრის გალავანში. 1—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

შაბათს, აგვისტოს 3, საღამოს სრულ 7 საათზე, ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია პარტიის წევრთა

**საერთო კრება.**

მოხსენებას წაიკითხავს ბ-ნი **ტრიფონ ჯაფარიძე** ერობის შესახებ. დასწრება ყველა წევრის **სავალდებულოა.** გთხოვთ დროზე გამოცხადდეთ.

საგუბ. კომიტეტი.

## შრომის ბირჟა.

ქალაქ ქუთაისში დაიწყო მოქმედება შრომის ბირჟამ შრომის ბირჟის მიზანია ფართო და მიზან შეწონილი შუამდგომლობა მუშების დაქირავების დროს, მწარმოებელ დამქირავებელთა და მუშების შორის. ბირჟა ახდენს, რეგისტრაციას (ჩაწერას) ყველა დარგის მუშებისას და აგზავნის სამუშაოზედ. რომ უმუშევარმა მიიღოს ადგილი აუცილებლათ საჭიროა; რომ ის იყოს ჩაწერილი ბირჟაში შრომის ბირჟის უბარათოთ ადგილს ვერავინ მიიღებს. აგრეთვე ყველა მწარმოებელი ვალდებულია ყოველივე მოთხოვნილება მუშა ხელზედ წარმოადგინოს შრომის ბირჟაში, რათა უკანასკნელს მიეცეს საშვალება გაგზავნოს მოთხოვნილებისამებრ რიგში მყოფი უმუშევარი. შრომის ბირჟის გარდა არა აქვს უფლება არც მუშას არც მწარმოებელს: 1) დამოუკიდებლათ დაიწყოს მუშაობა, 2) მიიღოს სამუშაოდ უმუშევარი. ყველა მოქალაქე ვალდებულია, განსაკუთრებით კი მუშები და მათი პროფესიონალური ორგანიზაციები, ადევნოს თვალყური, რათა ზემო ხსენებული დებულებები არ იქნეს დარღვეული, რითაც ხელს შეუწყობს ბირჟის ნაყოფიერ მუშაობას, შრომის ბაზრის შედარებით მოწესრიგებას. ყოველ ისეთ შემთხვევაში, როდესაც დარღვეულ იქნება საერთოთ წესი უმუშევართა განაწილებისა, საჭიროა დაუყონებლივ პირადი ან წერილობითი განცხადება ბირჟაში სათანადო განკარგულებების მოსახდენათ. შრომის ბირჟით სარგებლობა უფასოა.

(2—1)

ქ. ქუთაისის შრომის ბირჟის კომიტეტი.

**ხელის მომწერთა საყურადღებოთ.**

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

**განცხადება**

**საქონლის გამცვლელ კომიტეტისა**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებული საქონლის გამცვლელი კომიტეტი სთხოვს ყოველ გვარ სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს და პირებს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ ზემოხსენებულ კომიტეტს (თფილისი ჭავჭავაძის ქუჩა № 2) სია (რაოდენობა და ხარისხი) იმ საქონელთა რომელიც მათ სურთ შეიძინონ გერმანიიდან ვინაიდან კომიტეტი ამ მოკლე ხანში გზავნის გერმანიაში კომისიას საქონლის ყიდვის და გამოტანის მოსაწყობათ. ამ კომისიის გარეშე— საქონლის შემოტანა გაძნელებული იქნება.

კომიტეტის თავმჯდომარე, მინისტრის ამხანაგი **გ. ნიკოლაძე.**

3—2

მდივანი **ი. ჭიჭინაძე.**

ქ. ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო და გამგეობა ამით აცხადებს ამავე საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას 25 აგვისტოს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დანიშნულია

**არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.**

განსახილველი არის შემდეგი საკითხები:

1 საბჭოს და გამგეობის მოსამსახურეთა ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და შტატის შემოკლება.

2. საკითხი ამავე საზოგადოების დაზღვევისა და სხვა. 3—1

**კბილის ექიმები**

**მ. ი. ახვლედიანი** და

**ო. დ. პროშლიაკოვა**

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და საღამოს 5 ს.—7 ..

მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

**ექიმი**

**ზ. ა. ეზიკაშვილი**

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავათმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

## ერობის არჩევნები.

მოგვიახლოვდა ერობის არჩევნები. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი მრავალი წლების განმავლობაში იბრძოდა ერობის შემოღებისათვის ჩვენში, მაგრამ როდესაც საქართველო დამოუკიდებელია, მხოლოდ ეხლა გახდა შესაძლებელი ერობის განხორციელება.

ხან რუსეთის ბიუროკრატია უშლიდა ხელს ერობის შემოღებას ამიერ-კავკასიაში, ხან კიდევ სომხების პრეტენზიები.

დღეს ეს დაბრკოლებანი ძლეულია და ჩვენ შეგვიძლია ფაქტათ ვაქციოთ ჩვენი ამდენი ხნის ოცნება. მაგრამ ამ ჟამათ ერობის არჩევნებს ხალისით არ ეკიდებიან სხვადასხვა მიზეზების გამო, რომლის აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა.

ანარქიით არის მოცული საქართველოს დიდი ნაწილი და ამის გამო ერობის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში.

მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას კიდევ ერთს გარემოებას, რომელსაც შეუძლია ძლიერ შეაფერხოს ერობის საქმე. ერობა თავის ბუნებით არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია. ერობა არის ადგილობრივ კულტურულ ძალთა ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავს სახალხო მეურნეობის, სახალხო განათლების და მიმოსვლის საშვალებათა გაუმჯობესობაზე, ხალხის ჯანმრთელობაზე და სხვა.

ერობა ყველასათვის საჭირო და სასარგებლო ინსტიტუტია.

ერობისათვის, საჭიროა ყოველი განათლებული ადამიანი, მიუხედავათ მისი პოლიტიკური შეხედულებისა.

ერობა უპარტიო დაწესებულებაა.

ჩვენში კი ამ საკითხშიც პარტიული თვალსაზრისი შეიტანეს. ეს გარემოება მეტათ სახიფათოა. საქართველო ადგი-

ლობრივ კულტურული ძალებით მეტად ღარიბია და თუ ეს ძალებიც პარტიული ბრძოლის გამო სავსებით ვერ გამოვიყენეთ შეგვიძლია დანამდვილებით ვსთქვათ, რომ ერობა თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს და ნდობას დაჰკარგავს ხალხის თვალში.

ამიერ კავკასიის სეიმმა ერობისათვის პარტიული არჩევნებით მიიღო. ეს საარჩევნო წესი მდგომარეობს შემდეგში: ასარჩევ კანდიტატების სიებს ადგენენ პარტიები, ჯგუფები. ამომრჩეველი კი ვალდებულია მისცეს ხმა ამა თუ სიას. ეს წესი საშვალებას უსპობს ამომრჩეველს დააფასოს ესა თუ ის პიროვნება და ხმა მისცეს თავის დაფასების მიხედვით. თუ სიაში ურევია ისეთი, შეტანილი კანდიდატი რომელიც ამომრჩეველმა მიიჩნია ერობისათვის ან მთელს სიას მისცეს ხმა, ან ეს სასარგებლო კაცი უარყოს. ასეთი წესი შეიძლება მისაღები იყოს საკანონმდებლო დაწესებულებაში არჩევნების დროს, მაგრამ ერობის არჩევნებისათვის მიუღებელია. ჩვენ მივაქციეთ მთავრობის ყურადღება ამ გარემოებას მაგრამ მთავრობამ მაინც გადაწყვიტა ეხლავე მოახდინოს ერობის არჩევნები.

ჩვენ ერობის არჩევნებში რასაკვირველია მივიღებთ მონაწილეობას და მთელი ჩვენის ძალით შევეცდებით გამოვაღვიძოთ ხალხში ერობისადმი ინტერესი და ერობის გარშემო ხალხის ენერგია ავამუშავოთ.

ერობა ისეთი დიდი კულტურული ფაქტორია ხალხის ცხოვრებაში, რომ ყოველი პოლიტიკური პარტიის და საზოგადოთ ყოველი შეგნებული მოქალაქის მოვალეობას შეადგენს შეეცადოს მთელი თავისი ძალ-ღონით, რომ ამ დაწესებულებას ხალხში სახელი არ გაუტყდეს, და ერობის იდეა არ დამარცხდეს საქართველოში.

**ნ. მიქელაძე.**

## საქართველო და აფხაზეთი

სტამბოლის ფრანგულ გაზეთ „ლესუარ“-ში ივნისის 25 დაბეჭდილია, რომ სტამბოლში ჩრდილო-კავკასიელების სამშვიდობო დელეგაციას სოხუმიდან მიუღია დეპეშა, რომელშიდაც გამოცხადებულია ენერგიული პროტესტი ქართველებისადმი, რომელთაც ჩერქეზების დაპყრობა განუზრახავთ და განსაკუთრებით-კი აფხაზების, რომელნიც შეადგენენ ჩერქეზების ერთ უმთავრესს შტოსა. გერმანელი ოფიცრების მეთაურობით და ყოფილი გერმანელი ტყვე ჯარის კაცებისაგან შემდგარ რაზმი რიცხვით 800 კაცი გაემგზავრა აფხაზეთს, რათა ეს ქვეყანა ფაქტიურად დაუმორჩილოს საქართველოსა. დეპეშაში გამოხატულია რწმენა, რომ საიმპერატორო ოტტომანების მთავრობა დაიცავს ამ ხალხის უფლებებს.

—

იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში (ივნისის 26-ს) დაბეჭდილია ინტერვიუ ჩრდილო—კავკასიის დელეგატებთან.

„ჩვენს მმართველობას ექვემდებარება“, განუცხადებია დელეგაციას, „1 მილიონი დაღესტნელები, 1,200,000 ზაქათლელები, 500,000 ჩაჩანი, 300,000 ჩერქეზი და ყაბარდოელები, 100,000 აბხაზი, 250,000 ოსი და 400,000 თურქმენი, ბალკარელი, ნოგაელი და სხვ. სულ მცხოვრებლების რაოდენობა შეიცავს 5,000,000 კაცს, რომელ რიცხვში აგრეთვე შედიან არა ადგილობრივი მკვიდრნი. ამ ხუთ მილიონში სამი მეოთხედი მუსულმანებია. დელეგატებს სწამთ, რომ მიუხედავათ ქართველების იმედებისა, აბხაზები დარჩებიან მათ სახელმწიფოში, და არა საქართველოში“.

## მესხეთ-ჯავახეთის ლტოლვილნი.

ახალციხის ლტოლვილებმა, რომელნიც ეხლა წალკასა და მის მიდამოებში არიან გაფანტული, თხოვნით მიმართეს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო სამინისტროს: მოგვეცით ახალციხის მაზრაში დაბრუნების საშუალება, რომ სრულიად არ განიავდეს და არ დაიკარგოს ჩვენი კარ-მიდამო და წლის მოსავალი, რომელიც უპატრონოთ სრულიად ფუჭდებაო. ამის გამო საგარეო სამინისტრომ სათანადო შუამდგომლობით მიმართა ოსმალეთის მთავრობას. ამის შესახებ საგარეო სამინისტროს ოსმალეთის ჯარის მთავარ სარდლის ესად ფაშისაგან პასუხი მოუვიდა, სადაც ის აუწყებს სამინისტროს, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებდ საშუალება მომეცით, დამაცნობეთ ლტოლვილთა პერსონალური სიაო. ჩვენი მთავრობა ასეთ სიას ამ დღეებში წარუდგენს ესად ფაშას. ამ საქმის კეთილათ დაგვირგვინებას საშვილიშვილო ისტორიული მნიშვნელობა აქვს და ჩვენი მთავრობაც ყოველივე ღონეს იხმარს, რომ ახალციხის ლტოლვილთა სრულიად ბუნებრივი ზრახვა სასურველად შესრულდეს.

## კანონები

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან განსაკუთრებული რაზმის დაარსებისა კონტრ-რევოლუციის, და სპეკულიაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1. დაარსდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვსი თვის ვადით, განსაკუთრებული რაზმი კონტრ-რევოლუციის, სპეკულიაციის და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თანახმად ამ კანონთან დართული შტატისა.

2. ხსენებული რაზმი მოქმედებს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის თანახმად.

3. ამ რაზმისთვის საჭირო თანხა 140.000 მან. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან.

4. ეს კანონი ძალაში შევიდა ამა 1918 წლის ივლისის პირველიდან 1918 წ. ივლისის 30.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი **ნ. რამიშვილი.**

# საქართველო.

## ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ლაშქარს.

(№ 44. 1928 წ., ივლისის 28)

17 ივლისს მე ბრძანება გავეცი საქართველოს რესპუბლიკის ლაშქრისადმი, რომ ყველა იმ ოფიცრებმა, რომლებიც ამ ჟამად სამსახურში არ ითვლებიან, მოიხსნან სამხედრო ნიშნები. ბრძანება „საქართველოს რესპუბლიკის ლაშქრის“ ოფიცრებს, რომელნიც რესპუბლიკის ჯარში არ ითვლებიან, საქართველოში დარჩენ ამა თუ იმ მიზეზით და სტუმრებათ ითვლებიან.

ამავე დროს კი ზოგიერთმა პირებმა, რომლებმაც არ მოისურვეს 17 ივლისის ჩემი ბრძანების შესრულება, იმ გათიშვის გასაძლიერებლად, რომელმაც სამწუხაროდ თავი იჩინა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ბრძოლაში დაძმობილებულთა შორის.

რადგანაც არა მსურს, რომ 17 ივლისის ჩემი ბრძანება ყველამ თავისებურად განმარტოს—ბრძანებითვე განვმარტავ და ვიმეორებ, რომ ის ოფიცრები, რომლებითაც კავკასიის ლაშქარი სამართლიანად მუდამ ამაყობდა, არ დაიწყებენ მიზეზების ძებნას იმ შულლის გასაძლიერებლად, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ადგილი აქვს და ხელოვნურად აძლიერებენ.

ამასთანავე ერთად მე გავახსენებ ყოფილ კავკასიის ლაშქრის უფროსს, რომ ურთიერთ სამხედრო პატივცემას ქუჩებში და საზოგადო დაწესებულებებში პატიოსნების დასაცავად, საქართველოს რესპუბლიკის მიწა-წყალზე მყოფი ყველა სამხედრო პირები, რომელნიც სამხედრო ფორმას ატარებენ, მოვალენი არიან სასტიკად ასრულებდენ საქართველოს რესპუბლიკის ლაშქრის უფროსის განკარგულებას.

ლაშქრის დროებით უფროსი გენერალ-მაიორი **ანდრონიკაშვილი**

## ჩვენი საერობო პოლიტიკა.

1

**სახალხო განათლება.**

აღვნუსხოთ მოკლედ კონკრეტული ფორმები მომავალი საერობო მუშაობისა.

ძირითადი იდეა ამ მუშაობისა უნდა იყოს ასეთი: საფუძველი ხალხის კეთილდღეობისა სახალხო განათლებაშია; ფართო მასსის განათლება წარმოადგენს უმთავრეს ფაქტორს ეროვნული სიმდიდრის შექმნაში.

სახალხო განათლებაზე სხვა პარტიებიც ლაპარაკობენ, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შესძლო მიეცა თავის სიტყვებისათვის მკაფიოდ გარკვეული, განსაზღვრული მნიშვნელობა; ამიტომ მათი მსჯელობა ამ საგნის შესახებ საერთო შაბლონს ვერ გასცილებია იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენი სოციალისტები ლაპარაკობენ სწავლა განათლების შესახებ მიტომ, რომ სხვა ქვეყნებში ლაპარაკობენ ამის შესახებ და არა იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ხალხის ინტერესები.

ჩვენ უნდა მივცეთ სახალხო განათლების იდეას უფრო კონკრეტული შინაარსი. უპირველესად ყოვლისა, ჩვენი შეგნებით, სახალხო განათლება უნდა იყოს სავალდებულო.

ყოველი მიწის მუშა, ყოველი მოხელე, ყოველი ვაჭარი ვალდებული იქნება მისცეს საერობო სკოლაში თავის შვილი განსაზღვრული წლოვანებისა,—ქალი იქნება ის თუ ვაჟი. სკოლაში ექვსი წლის ბავშები შედიან. სახალხო საერობო სკოლის მასწავლებლებს უნდა ექნესთ საკმაო პედაგოგიური მომზადება იმისათვის, რომ ნიჭიერი კაცები ეტანებოდენ სახალხო განათლების საქმეს, საერობო სკოლის მასწავლებლებს უნდა დაენიშნოსთ საკმაო ჯამაგირი ჯერ ჯერობით ჩვენ უნდა ვისარგებლოთ იმ მასწავლებლებით რომელნიც მოგვეპოვებიან, მაგრამ ყოველივე ღონე უნდა ვიღონოთ, რომ იგინი თავის მაღალ დანიშნულებას უფრო შეესაბამებოდენ. ამისათვის უნდა მოვაწყოთ სხვადასხვა კურსები, ლექციები ექსკურსიები „კამანდიროვკები“ და სხვა.

6 წლის განმავლობაში სოფლელი ბავშები ისწავლიან საერობო შკოლაში წერა-კითხვას, ანგარიშს. საერობო შკოლაში ისინი შეისწავლიან ბუნებას საზოგადოთ. და კერძოდ და განსაკუთრებით სამშობლო ქვეყნის ბუნებას; გაიგებენ რა სარგებლობა შეუძლია გამოიტანოს ამ ბუნებიდან კაცის ჭკუამ. საერობო შკოლაში ყმაწვილები შეისწავლიან სამშობლოს ისტორიას, შეიყვარებენ თავის პატარა სამშობლოს და მისთვის წამებულ დიდ ბუნებოვან ქართველებს და მთელ ქართველ ერს, რომელთ განსაცვიფრებელ ღვაწლით და წამებით გადარჩენია ქართველი ერი ირგვლივ შემორტყმულ მტერების მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. იქვე გაიცნობენ საქართველოს უმთავრეს ადმინისტრატიულ დაწესებულებებს, რომ შემდეგში, თუ შემთხვევა მოითხოვს თვითონ, უვექილოთ გაუძღვენ თავიანთ საქმეებს.

სახალხო შკოლაში ბავშები შეიწავლიან ადამიანის სხეულის აგებულობას და შეეჩვევიან მის მოვლას, რომ ჯანსაღნი იქნენ. სახალხო შკოლა ასწავლის ბავშებს პატივის ცემით მოეპყრონ ფიზიკურ შრომას, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი ხალხისთვის, რომელსაც ჰგონიათ, რომ ფიზიკური მუშაობა ამცირებს კაცის ღირსებას. ეს შემცდარი აზრი ბატონყმობის დროიდანაა დარჩენილი, როცა ეგონათ, შრომა კაი გვარის შვილს არ ეკადრებაო. სახალხო შკოლამ უნდა ასწავლოს ხალხის შვილებს, რომ გონივრული შრომით ადამიანს გაცილებით უფრო კარგათ შეუძლია სოფელში პატარა ადგილით ცხოვრება, ვიდრე ქალაქში საშვალო მოხელეს. საამისო მაგალითები ბლომათ მოგვეპოვება ბელგიის ჩეხიის და და თვით გერმანეთის ცხოვრებიდან. შკოლამ უნდა გაზარდოს მრჩენელი და არა სარჩენი, როგორც ახლა ვხედავთ ნათქვამია, ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, გადაუშალა გული, შიგ აუარებელი სიმდიდრე ჩასდო და ადამიანს უანდერძა: გაისარჯე, ეგ სიმდიდრე მიწიდან ამოიღე და შენ საკეთილდღეოთ მოიხმარეო. ხალხისაგან გვაქვს გაგონილი: ქრისტე ღმერთმა თავის უხვების კალთა ჩვენ პატარა საქართველოში დაუბერტყიაო.

გარჯა, ჯანი და ღონე ჩვენს ხალხს არ აკლია და რადაზე ვართ ასე ღარიბნი. იმიტომ რომ სწავლა არ გვაქ: არ ვიცით სად რა სიმდიდრეა და როგორ უნდა მოვიხმაროთ.

სკოლამ უნდა მოგვცეს ეს სწავლა უპირველესად ყოვლისა.

ასეა გერმანეთში და საზოგადოთ დასავლეთ ევროპაში და ასე უნდა იქნეს აქაც. ეს აუცილებელია, რადგან საერობო სახალხო სკოლა ყველასათვის სავალდებულო იქნება იგი უნდა იქნეს უფრო. ამას გარდა, ხელ მოკლე (ღარიბ) მშობლებთა ბავშვებთ მიიღებენ სკოლიდან სხვადასხვა დახმარებას: წიგნებს, ტანისამოსს, სტიპენდიის და სხვას.

რომ არც ერთი ბავშვი სკოლას გარეთ არ დარჩეს, საჭიროა სკოლათა რიცხვი გადიდეს. 1000 მცხოვრებზე მოდის ორასი ბავშვი სასკოლო წლოვანებისა. ექვს წლიან სახალხო სკოლაში უნდა იქნეს 200 ბავშვი მაშასადამე იმდენი სკოლა უნდა გვქნეს რამდენი ათასი მცხოვრებია ჩვენს ქვეყანაში. მთებში სადაც ხალხი ცოტაა და გაფანტულად სცხოვრობს, სხვა ნაირი ანგარიში დაგვჭირდება: იქ ისე უნდა მოეწყოს სასკოლო საქმე, რომ ყველას ადვილად შეეძლოს სკოლაში სიარული. ყველა არსებული სახალხო სკოლები ექვს კლასიანებად უნდა გადაკეთდეს.

სახალხო განათლების საქმეს ცოტა ხარჯი არ დასჭირდება, მაგრამ უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ არაფერ საქმისათვის დახარჯული ფული არ მოიტანს იმდენ სარგებლობას, რამდენსაც სკოლის საქმეზე დახარჯული. ამიტომ ჩვენ ამ საქმეში რაითარ ხარჯს არ უნდა შეუშინდეთ. 60—75 პროც. მთელი საერობო ბიუჯეტისა სკოლის საქმეს უნდა მოხმარდეს. ხალხი ჩვენი სიბნელეშია; მას განათლება აუცილებლად სჭირია რამდენი ნიჭი იღუპება სოფელში გაუნათლებლობის გამო!..

ქვეყანას იმდენი სასკოლო საქმეზე არ დაეხარჯება, რამდენსაც ერთი გენიოსი ინჟინერი შესძენს.

ქვეყნის ძალა ციხე სიმაგრეებში კი არა მის განათლებულ შვილებშიაო—სთქვა ერთმა დიდი ნიჭის მქონე გერმანელმა (ლიუტერი).

გავხდით რა სავალდებულოდ პირველდაწყებითი სწავლას, ჩვენ მივსცემთ საშვალებას საერობო სკოლაში კურს დამთავრებულებს განაგრძონ თავისი განათლება სატეხნიკო და საპროფესიო ცოდნის შესაძენად. ჩვენ უნდა მოვფინოთ ჩვენი ქვეყანა საპროფესიო სკოლებით: უნდა გავხსნათ სკოლები სამიწადმოქმედო, სატეხნიკო, საკომერციო, მეღვინეობისა და სხვა.

საერობო ექვს კლასიანი სკოლის გათავების შემდეგ მსურველნი შევლენ იმ სკოლებში, სადაც ისინი 2—4 წლის განმავლობაში შეიძენენ შესაფერ ცოდნას, მისცემს მათ საშვალებას ღირსეულად იმუშაონ განთავისუფლებული სამშობლოს მიწა—წყალზე და შექმნან თავის კეთილ დღეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

56

# დ ღ ე ს.

**წერილები.**

ნ. მიქელაძე. ერობის არჩევნები.
ლადო მაჰავარიანი. ტანჯვა და შემოქმედება (კ. კაპანელისა.)
ფელეტონი ჩვენი საერობო პოლიტიკა
პატარა ფელეტონი.
მ. ბუაჩიძე — საუბარი გლეხებთან.

**ცნობები.**

ბაქოში ბოლშევიკთა მთავრობა დაემხო. დააპატიმრეს ბოლშევიკთა მეთაურები შაუმიანი და ჯაფარიძე. აზხაზები ნაციონალიზაციის შესახებ. გლეხების მღელვარება უკრაინაში. და სხვა,

## საბჭოთა მთავრობის დამარცხება ბაქოში.

ბაქოდან ჩამოსულმა ამხანაგმა გადმოგვცა რომ ბაქოში საბჭოთა მთავრობა დაემხო.

ეს მოვლენა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ბაქოში დემობილიზაციის გამო თავი მოიყარა 10,000 რუსის ჯარის კაცმა და ფრონტის ყაზახებმა, რომლებმაც წითელი არმიაში ჩაწერის შესახებ უარი განაცხადეს. მათ უმუშევრობის გამო ხანგრძლივი შიმშილობა უხდებოდათ.

21 ივლისს მათ — თავისუფლების მოედანზე მოაწყვეს მიტინგი, რომელზედაც მთავრობის წინააღმდეგ პროტესტი გამოიტანეს.

ეს ამბავი გაიგეს თუ არ ჯაფირიძემ და შაუმიანმა მიტინგისაკენ „ხიშტებითა“ და ტყვიის მფრქვევლებით რაზმი ააფრინეს. მოკლულ იქნა 3 ორატორი. მოკლულთა მხარეზე გადავიდა მუშების მატროსების და ყაზახების დიდი ნაწილი. ყაზახებს მეთაურობდა ბიჩერახოვი, რომელმაც მეორე დღეს შესძლო შაუმინისა და ჯაფარიძის დაპატიმრება. მთელი ქალაქი გამარჯვებულთა ხელშია.

„ბორბა“.

# უ ც ხ ო ე თ ი.

## სტამბოლი.

**თალათ-ფაშას ახალი მთავრობა.**

სტამბოლის გაზეთები თალათ ფაშის მთავრობის შესახებ შემდეგს იუწყება: —

შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილი დაიკავა ისლამ ჯანპოლად-ბეიმ რომელსაც ოსმალეთის რევოლუციაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. რევოლუციამდის იგი იყო ოსმალეთის მესამე არმიის უფროსის ხაირი ფაშის ადიუტანტათ. სახელმწიფოს გადატრიალების დროს ჯანპოლად-ბეიმ თალაათისა და მიტხად-შიუკრი-ბეის თანამშრომლობით შეადგინა „სამთა კომიტეტი“, რომელიც რევოლუციონურ მოძრაობას მეთაურობდა. კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ მან დასტოვა სამხედრო სამსახური და ხელი მიჰყო პოლიტიკურ მოღვაწეობას. თანამდებობაზე დანიშვნამდის ჯანპოლად-ბეი იყო ოსმალეთის ელჩად სტოკჰოლმში.

სახალხო განათლების მინისტრის ადგილი დაიკავა ექ. ნაზიმ — ბეიმ, რომელმაც მთელი თავისი მოღვაწეობა შესწირა გამათავისუფლებელ მოძრაობას. ძველი რეჟიმის დროს იგი სმირნაში და სალონიკაში დასუზხაჯის ფსევდონიმით მუშაობდა.

სასურსათო საქმეთა მინისტრის პორტფელი მიეცა კამალ-ბეის. დანარჩენ ადგილებზე ძველი მინისტრები დარჩნენ.

---

ჩვენ — ღარიბი, მაგრამ ნიჭიერი ხალხი ვართ. ამ ნიჭს თუ გონიერ მიმართულებას მივსცემდეთ შრომას არ დავიზარებთ ჩვენი ქვეყანა გამდიდრდება გაძლიერდება და აყვავდება, როგორც ეს ძველად ყოფილა დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს, სამშობლო ნიჭის ქართველი, საშვალო ნიჭის ევროპიელზე უფრო მაღლა სდგას, მაგრამ ჩვენ სწავლა არა გვაქ ევროპიელები კი, ნასწავლნი არიან.

ჩვენ უნდა გაუსწორდეთ მათ სწავლით და მაშინ, დანარჩენში რომც თუ გაუსწორდებით, კიდევაც გავასწრებთ.

მსურველთ საშვალო სკოლაში შესვლა და იქ სწავლა უნდა გაუადვილდეს: უნდა სწავლის ფასი შემცირდეს, დაარსდეს უფასო სასადილოები და სხვა.

ეს იმისთვის, რომ სიღარიბემ კაცს სწავლის საქმეში ხელი არ შეუშალოს თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ როდესაც ზოგადი განათლების სახალხო სკოლები და საპროფესიო სკოლები კარგად მოეწყობა, საშვალო და უმაღლეს სკოლას ხალხი ისე აღარ დაეტანება: იგი დაუბრუნდება მიწას, მის მრჩენელს და მანუგეშებელს, და იმ მიწაზე ღირსეულად იცხოვრებს. ამას ჩვენ სიამოვნებით უნდა მივესალმოთ. ძლიერ მიწად მოქმედ კლასს შეუძლია შეჰქმნას ძლიერი სახელმწიფო. მიწა და მხოლოდ მიწა მისცემს ძალას ხალხს.

ერი თუ მიწას მოშორდა, გადაგვარდება. ჩვენი საშვალო სკოლა აშორებდა ბავშვებს მიწას და ჰქმნიდა მათგან საცოდავ ადამიანებს ეს აღარ იქნება.

საშვალო სკოლაში დღეიდან უნდა ვეძიოთ არა საშვალება ცხოვრების უზრუნველ ყოფისა, რაც სხვა გზით გაკეთდება, არამედ უნდა ვავარჯიშოთ გონება რთული აზროვნებისათვის. ასეთ სკოლას უნდა ეტანებოდენ თეორიული აზროვნების მოტრფიალენი; მათ აქ მიეცემათ საშვალება განვითარებისა ამ მიმართულებით, სასკოლო განათლების გარდა, სხვა საშვალებებსაც უნდა მივმართოთ ხალხის განათლებისათვის: უნდა დავაარსოთ წიგნ-საცავები და სამკითხველოები სოფლებში.

ყოველ, მიყრუებულ სოფელშიაც კი უნდა იქნეს ასეთი სამკითხველოები და წიგნ საცავები, სადაც უნდა იგზავნებოდეს სოფლისთვის სასარგებლო წიგნები და გაზეთები, ამ წიგნებში და გაზეთებში უნდა იყოს საუბარი იმის შესახებ, რაც საჭიროა სოფლისათვის მაგალითად რაა საჭირო იმისთვის რომ გავადიდოთ სიმინდის მოსავალი, როგორ უნდა მისცე პატივი მიწას, როგორ უნდა გააშენო კარგი ბოსტნეული, როგორ მოუარო დაფნის ხეებს, როგორ უნდა გააშინო სასარგებლო ხეები, როგორ უნდა ჰქმევა გამოკვება და საზოგადოდ მოვლა აბრეშუმის ჭიას, როგორ უნდა უწამლო ავადმყოფ საქონელს როგორ და სად უნდა გაყიდოს სოფლელმა, რაც მას გასაყიდი აქვს და სხვა და სხვა.

დიდ სოფლებში, დაბებში უნდა მოვაწყოთ სახალხო სახლები. ამ სახლებში ბიბლიოთეკას გარდა, უნდა იმართებოდეს კურსები, სოფლელებისათვის თავისუფალ დროს. ამ კურსებზე უნდა იკითხებოდეს ლექციები სამიწად-მოქმედო, საეკონომიო, სალიტერატურო და სხვა საკითხებზე.

აქვე ასწავლიან წერა კითხვას მოზრდილებს (რასაკვირველია ვინც არ იცის წერა-კითხვა) აქვე გამართავენ წარმოდგენებს სიმღერებს, სათამაშოებს, რომ სინათლის შუქი და სიხარული შევიდეს მშრომელ მასსაში ყველა ამ ზომებით ჩვენ გვინდა სინათლის შუქი მოეფინოს ჩვენ ხალხს, და ამ სინათლით ისარგებლოს მან თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

---

# „ტანჯვა და შემოქმედება“

(ნაწყვეტი „მსოფლიოს მიდება“.)

კ. კაპანელისა.

მახსოვს, ერთხელ, ვიდექ უსაზღვრო სივრცეთ გადაშლილ ოკეანეს ნაპირზე. ვიყავი მარტოდ-მარტო და ვხედავდი მსუბუქ ღრუბელთა შავი მანტია, როგორ ფარავდა ხილულ საგანთა ნაკვთებს და ამეფებდა საშინელს წყვდიადს, რომელსაც სერავდა შორეული ცეცხლის ენები მეზადურთა მიერ ნასროლ ბადეებისა.

მახლობლად ჰქანაობდა ნავი, მიუახლოვდი და დავეყრდნე მასზე.

სურნელი ნაძვნარისა ვუნდრუკს მიკმევდა, და თვით კი, ხარბათ ვეწაფებოდი, ნამთა ციგლიგობათა მარილიან სისველს.

ხალვათად გულ-მკერდ გადაშლილ ზღვაზე ვამჩნევდი თითქოს შორედ მსრბოლავ შავს ილქნიან ნავს. ნავი იგი დაქანაობდა და მიიწევდა წინ მიუხედავათ ზღვის სიღრმეში მძიმეთ ჩაშვებულ ღუზისა.

მაცდური და მომხიბვლელი იყო ჩემთა ფეხთა ქვეშ სწრაფვა იმა ნავისა ზღვა საიდუმლოების სიღრმისა უხმოთ გმინავდა. ცად ჰორიზონტის გასწვრივ მდევებსავით აღუდებულიყვნენ წყლის ზედაპირიდან ატყორცნილი უზარმაზარი კედლები შავთა ღრუბელთა. კედლები იგი უერთდებოდენ ლურჯათ გადაშლილ. ცის მოღვედილ თაღებს, რომელიც იწოდა დაუსრულებელ და უსაზღვრო სივრცეთ. ვარსკვლავნი აღარ ჩნდენ, მიმალულიყვნენ.

ქვეყანა ესე რაოდენობას თვისას შლიდა უსაზღვრო სივრცის დაუსრულებელ საიდუმლოების სანახაობათა მიუწდომელსა და შორეულ ქვეყნის თვალებით.

ქვეყნად ჯერ კიდევ შეუცნობელი პირველყოფილი ქაოსი, უცნაურის იგივეობით ძლევამოსილი და თან ცივი თითქოს ნელი-ნელი მსვლელობდა ზღვათ დაფენებულ ღრუბელთა შორის. ჰაერში ჰკვნესოდა საიდუმლო სუნთქვა სტიქიათა უთვალავ საუკუნეთა სიგიჟისა და ტლანქი ძახილი ჰლექით დაავადებულ სურვილებისა.

რაღაც საშინელს და უცნაურობას ზვიადი სიზარმაცით დაეჭყიტა თითქოს თვისი ცისფერი თვალები და განცვიფრებით აშტერდებოდა გრძნეულსა და ჯადოსნურს უსაზღვრო საიდუმლებათა დაუსრულებლობას.

ძვირფასი მორთულობით ბრწყინავდენ ჩვენება ღმერთებისა და საუკუნეთა უზარმაზარ წიგნებს ოქროთ მოვარაყებულ ყდებში მლიდენ ოკეანეზე სამარადჟამო ძიებათ. ხალხთა ცხოვრება და საუკუნოების მკვეთრი მახვილობანი თითქოს ირწეოდენ სამრეკლოთა საიდუმლოებისა და ბრწყინვალე წარმოდგენათა ძაფებზე ამონაქსოვ მარადისობათ და ძილის პირულს მიმღერადა დასაძინებლად.

უსახო. ღამე, უხმო ზღვა, ფერმკრთალი ცა და მდუმარე ტყეთა ზოლები, სადაც საგანთა ნაკვთობის ფერთა სხვადასხვაობა ჯგუფდებოდენ ერთს მთლიანობაში. და ყოველივე ეს მიმახვილებდა გრძნობას ნაზ და ფერად მწუხარებისას, დაუსრულებელი სიყვარულის მრავალფეროვნებით. ვიცდიდი მარტო საიდუმლოებითვე გაფეროვნებულ ცხოვრების წიაღში და მაღონებდა ფიქრი მასზე, თუ როგორ სრულყოფით მძიმობდა ქვეყანა არსობისა. ვჭრვეტდი მრავალ სახეობათა სხვადასხვაობას.

თვით ზეკაციდან უილბლო კაცუნამდე. ბორიატ-ავაზაკიდან თვით წმინდათა წმინდამდე; ძიებით ტანჯულ ფილოსოფოსიდან უსაზღვრო სიყვარულამდე. ინდივიდუმი ადამიანისა თვისის დასაწყის-დასასრულით თავდება სრულის არარაობით; ყოველივე ღირებულება არარაობისა ცვალებადად იწვება-ქრება. და ადამიანიც ხომ ნაწილია ცხოვრებისა, იმ ცხოვრებისა, რომელიც შავ ბურთად ტრიალებს იმავ ადამიანის სურვილებისა და მიზნების წინააღმდეგ.

ვამჩნევდი, როგორ თანდათანობით ცოცხლდებოდა ჩემ წინ გადაშლილი იგი ზღვა უცნაურის წვით დასტრიალებდა უდიდეს გრძნობათაა ახმაურებასა და თავმომწონეობდა თვის გულის სიღრმეში ჩამარხულ ვრცელ ცხოველთა სამეფოთი. ზღვა იგი სდუღდა და მჩქეფარებდა სიცოცხლის მთელი სიძლიერით.

გავიფიქრე ბრძოლა საუკუნოებრივი, მტაცებლური ალესილი კბილები, თუ როგორ, მუსრს ავლებს მსხვერპლს და მსხვერპლი იგი ეწირება მტაცებლობის გაუმაძღრობას. ცათა შინა ხარობენ და ნეტარობენ ფრინველნი, ქვეყნიურს ნეტარებას ეძლევიან ცხოველები, თვით, მტვერიც ნეტარებით სუნთქავს უთვალავ წვრილ არსთა საიდუმლოებით, ქვესკნელშიდაც კი, ნეტარობენ ქვეწარმავალნი და სხვა მრავალი უცხო ქმნილებანი.

არარობა სწორი და უტყუარი გამოხატულებაა დაუსრულებლობისა. მხოლოდ ადამიანს აქვს საშუალება განიცადოს სამარადჟამო ცხოვრების სიხარული, სიხარული რომელიც სკოცხლობს ლომის ძალსა და ღონეში, მამაკაცის კუთვნილ ქალის სილამაზეში. ნეტარება ბედნიერ შეყვარებულთ, რომელთა სიყვარულიც ცეცხლად ენთება მათს გულის სიღრმეში. და ნეტარ იყვნენ ყოველივე ქმნილებანი რაც გვშორდება და ჰქრება უკვალოდ. ქება და დიდება მარადისობას, რომლის დაუსრულებელი ძიებაც ფერადის ძაფებით ქსოვს და ჰქმნის დღესასწაულს ცხოვრების დაუსრულებელ ტანჯვა-წვალებისას.

არსებობდენ ეონები ადამიანის გაჩენამდის, იარსებებენ იგინი შემდეგშიაც, ხოლო მარადიული დღესასწაული ქვეყნიურ ქაოსისა, რომელსაც ეკუთვნის ბედი ადამიანისა ჩვეულებრივ იბრწყინვებს და უცნაურის წვით აღამაღლებს და განსპეტაკებს სულს, სულს ადამიანისას. ზეკაცი და კაცუნა — აი, ცხოვრების აუცილებლობის ორი პოლიუსი. სრულყოფა კი იგივე მოტყუება არის ადამიანისათვის როგორც მოტყუება და ლანდური ჩვენება იმ ნავისა, რომელიც თვალთა ჩემთა ეკვეთებოდა განუსაზღვრელ სწრაფვა ლტოლვით, და ნამდვილათ კი, იდგა სრულად უმოძრაოთ. პროგრესი ეს ზღაპარია შეთხზული მექარხნეთა მეშჩანობით და ჟონგლიორთა ილიუზიებით.

ლადო მაჰავარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლონდონი.

**ქალები საავიაციო სამსახურში.**

ლონდონიდან იუწყებიან შრომის მინისტრმა რობერტსმა ქალთა ერთ კრებაზე განაცხადა, მთავრობას აზრად აქვს, რომ ქალები შეაჩვიოს საავიაციო სამსახურს და მან დაუმატა, რომ ქალები ამ მოვალეობას მშვენივრად შეასრულებენ.

დამსწრე ქალებმა ეს განცხადება ოვაციებით მიიღეს.

## უკრაინა.

**მთავარსარდლის დაპატიმრება.**

უკრაინის გეტმანის სკოროპადცკის განკარგულებით დააპატიმრეს ბოგდან-ხმელიცკის პოლკის უფროსი კაპკანი. კაპკანი ერთ დროს უკრაინის მხედრობის მთავარსარდლი იყო საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა.

**გლეხთა მღელვარება.**

რამდენიმე დღეა, რაც ავსტრიელთა ჯარისკაცები სოფელ ანტონ-ვო-კონდინცევოს ესვრიან. დანგრეულია გლეხების სახლები. მოკლეს ოდესის ცნობილი მემამულე კელლერი.

ნოვგოროდ-ვოლინსკში შეიარაღებულმა ბრბომ დაარბია წამლის ქარხანა, რომ მთელი სოფელი შეიარაღებიათ. სოფელ მილორადოვში. პურის რეკვიზიციის გამო უწესოება მოხდა. ავსტრიის რაზმებს შორის დიდი მსხვერპლია.

**გაფიცულ მოხელეთა დათხოვნა.**

სამიწადმოქმედო სამინისტროში მოხელეთა გაფიცვები სამი დღით გაგრძელდა, რის შემდეგაც ლიკვიდაცია თავის თავად მოხდა. გამოიცა ბრძანება, რომ ყველა გაფიცული მოსამსახურეები ადგილიდან დაეთხოვათ, რაც სისრულეში მოიყვანეს. დათხოვილ მოხელეების ნაცვლად ახლები მოიწვიეს.

## რ უ ს ე თ ი.

— ვოლსოდაში უკრაინიდან თავი მოიყარა 2000 პოლონელმა, რომელნიც ქირით საფრანგეთის საელჩოს წინადადებით იგზავნებიან მურმანის მხარეში. ინგლისელებმა მურმანისოროკამდის აიღეს და რუსეთის გემებს რეკვიზიცი უყვეს.

— „ნარ. მის,“ რომ ალექსანდროვ-გრუშევსკში სამხედრო—საველე სასამართლოს განკარგულებით დახვრიტეს რამდენიმე კაცი, მათ შორის ფინანსთა სამინისტროს ყოფილი კომისარი კილოევი, სამხედრო კომისრის თანაშემწე ნედელსკი და ფრონტის ჯარის კაცი კოვალიოვი. კესელიოვს პირველად მისჯილი ჰქონდა 20 წლის „კატორღა“, ნედელსკის იძულებითი მუშაობა.

## ახალი ამბავი

### ქ უ თ ა ი ს ი.

**ლექცია ხონში** კვირას, აგვისტოს 4-ს ქ. ხონში ეროვნულ საბჭოს წევრი იოსებ მაჭავარიანი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: საქართველოს „დამოუკიდებლობა და მასში მომქმედი პოლიტიკური პარტიები“. დასასრულ გიმართება კამათი.

✦ **სალამო — სეირნობა.** — აგვისტოს 4-ს მწვანეყვავილის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართება მწვანეყვავილაში, სალამო — სეირნობა.

✦ **სიმინდის ფასი.** — როგორც დანამდვილებით გავიგეთ ტყიბულში ფუთი სიმინდი 70 მან. იყიდება.

✦ **სალამოს კურსები.** სალამოს კურსები ქართული გიმნაზიიდან გადიტანეს მე-2რე პირველ დაწყებითი სასწავლებლის შენობაში.

✦ **გაზ. „სოციალ დემოკრატი.** ტექნიკურ მიზეზების გამო გუშინ არ გამოსულა.

✦ **ოპერა „ქრისტინე“** ამ დღეებში ქალაქის თეატრში გაიმართება ოპერა „ქრისტინე“.

✦ **ერობის გარშემო.** ჭიათურის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ქუთ. აღმასრულებელ კომიტეტს, რომ გაგზავნონ გამოცდილი ინსტრუქტორი, რომელიც ხალხს აუხსნის და განუმარტავს ერობის მნიშვნელობას და აგრეთვე მოაწყობს მის ტეხნიკურ მხარეებს.

✦ **ჯამაგირები.** ქალაქის საბჭომ ხარკის ამკრებთ თვიურათ 250 მან. დაუნიშნა.

✦ ბოლშევიკები **რუსეთში.** რუსეთიდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს, რომ ბოლშევიკების ბატონობის დღები დათვლილია. მალე მონარქია აღსდგება.

✦ ქალაქის სასურსათო კომიტეტმა მოქმედება უკვე შესწყვიტა.

✦ **სასურსათო მინისტრის.** ამხანაგი, საბაშვილი, რომელიც ქუთაისში იმყოფებოდა ოზურგეთს გაემგზავრა. მას თან გაჰყვა ქუთაისის ქალაქის მოურავი.

✦ სოხუმის საცდელ სადგურის განკარგულებაში გადაეცა **11.507** მან. მოსამსახურეთა დამატებითი ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად.

✦ **ხილი ბაზარზე.** ქუთაისის ბაზარზე დიდძალი ხილი შემოაქვთ.

✦ **ს. ბანძა.** 12 ივლის ავაზაკები თავსდაესხენ ბ. ფაზანიას წაართვეს **2,644** მანეთი.

✦ ს. **ნაგვაზავა** 5 ივლის სამსონ ჭედიას თავს დაესხენ ყაჩაღები წაართვეს 1390 მანათი.

## პატარა ფელეტონი

**„ეშმაკი საქართველოში“.**

როგორც ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, ნოე ჟორდანიას ახალგაზრდობიდანვე თურმე, დიდი სურვილი ჰქონია პროლეტარიატის გენერალი გამხდარიყო ჟამსა ჭაბუკობისასა, როცა უკვე დაზეპირებული ჰქონდა მარქსიზმი იგი, წარდგენილ იქნა „საქართველოს პროლეტარიატის“ მიერ გენერლის ჩინზე და ხელმძღვანელობდა „პროლეტარიატის ლაშქარს“ ამიერ კავკასიაში. საქართველოს ფართო წრეებში ამითაც ვერას გახდა ნოე იგი და აღეძრა სურვილი სათავეში მოქცეოდა საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს. გენერალმან მან მოიწვია ხელქვეითთა თვისითა კრებული და გამართა ბჭობაბჭობაში მონაწილეობდენ; შორაპნელი ვინმე აზნაური კარლო, ჩვენებური სახელით ნიკოთ წოდებული, ჭაბუკი კაკი, ვინმე მეგრელი ევგენი და სხ. მრავალი დიდის ხნის ბჭობის შემდეგ ჭაბუკმან კაკიმ წინადადება შეიტანა კრებულში: თქვენო აღმატებულებავ, ბატონო გენერალო! და წევრნო ამა კრებულისა? თქვენც მოგეხსენებათ მეფე, დავით აღმაშენებელი, რომელმაც ზეპირ თქმულებისავ გადმოცემით დაიმორჩილა ეშმაკი და ჯორათ აქცია იგი, ფეხ მალი და ელვათ სწრაფი. დღეს, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რუსეთთან საქართველოს შეერთების დროს ეს ჯორეშმაკი აქედან მოუპარავთ და დღეს მით სარგებლობს რუსეთის ტახტის მბრძანებელი იგი ვინმე ნიკოლოზ რომანოვი. საჭიროა ამ ჯორეშმაკის როგორმე ხელში ჩაგდება, რომ სურვილი ჩვენი გენერლისა დაკმაყოფილებული იქნას. კრებულმა ერთხმად დაადგინა ამ საქმის მოსაგვარებლათ პეტროგრადს გაგზავნილ იქნეს შორაპნელი აზნაური იგი კარლო.

კარლო იგი შეწუხდა ამგვარ ძნელი საქმის დაკისრებით და ჰკადრა გენერალსა მას:

— უფალო გენერალო უმჯობესი იქნებოდა ეს საქმე დავალებოდა მეგრელსა მას ევგენი როგორც გაწრთვნილს ამ საქმეში. გენერალი იგი ნოე, განრისხდა კარლოს კადნიერებით და შეჰყვირა:

— „გიცნობთ რაც შვილები ხართ თქვენ შორაპნელები! გიბძანებ ეხლავ შეასრულო სურვილი ჩემი და თან წაიყოლო მეგრელი იგი ვინმე ევგენი“.

კარლომ მძიმეთ თავი დახარა, ხელისალებით ირგვლივ შემოტრიალდა.

მას თან გაჰყვა ვინმე მეგრელი იგი ევგენ. კრებული დაიშალა.

* * *

მოგვარეს იგი ეშმაკი მბრძანებელს პროლეტარიატისას ნოეს. ნოემ მასთან მოლაპარაკება გამართა ეშმაკი იგი ადამიანის სახით პირობას, ჰკრავდ ნოესთან.

ხოლო დიდათ დაღონდა ეშმაკის მიერ მოთხოვნილ სასყიდელით იგი შრომის ფასად სთხოვდა ნოეს ქართველ მოქალაქეთა სამშობლოს სიყვარულს. ნოესა მას, როგორც ტომით ქართველს უმძიმდა ეშმაკისათვის მიეცა პატრიოტიზმი ქართველ მოქალაქეთა, რადგან, როგორც გამოცდილი გენერალი, გრძნობდა საფრთხეს თუ მოქალაქენი საქართველოისა დაჰკარგავდენ სამშობლოს სიყვარულს. დიდი ფიქრის შემდეგ დასთანახმდა ნოე იგი და პირობას ხელი მოაწერა. იქცა ეშმაკ იგი ჯორათ შეისვა ზურგზე ნოე იგი და ელვის სისწრაფით მოედო საქართველოს ყველა კუთხეს.

* * *

განვლო ღამემან მან წყვდიადისამან და გათენდა რაღაც უცნაურობით. 90 პროცენტი საქართველოს მოქალაქეთა ყველა ნოეს აღმერთებდა.

მათ დაეკარგათ სიყვარული სამშობლოისა; და აღიდებდენ მწყალობელსა და მფარველსა ნოესა მასა.

ეშმაკის საქართველოში ჰყოფნის დროს გამოელია ძალა რუსთხელმწიფებას და შეირყა ტახტი იგი რომანოვთა მფლობელობისა. აქეთ ეცნენ მინისტრნი რუსეთისანი იქით ეცნენ, მაგრამ ამაოდ, ვეღარ მიაგნეს კვალსა მას ეშმაკისასა, რომელიც ამაგრებდა ტახტს. დაიქცა ტახტი იგი და აღმოცენდა საქართველოს რესპუბლიკა.

* * *

ესე ამბავი შეიტყო რა მტერმან ჩვენმა ქვეყნისამან ვინმე სულთანმა ოსმალეთისამ ყოველი კუთხით რკალი შემოარტყა საქართველოს და მოინდომა დაპყრობა ჩვენი. ნოემან მან დააკისრა მთავარსარდლობა ვინმე—მეგრელს ევგენს და მოუწოდა ქართველთ შებრძოლებიდენ ოტომანის იმპერიის ჯარს. მაგრამ ქართველი ხალხი იგი აღმოჩნდა გულცივი, რადგან დაჰკარგული ჰქონდათ მამულიშვილობა და სამშობლოს სიყვარული.

* * *

სულთმონმა შესძლო საქართველოს სხეულის შუა გაკვეთა და ხელთ იგდო ბათომის ოლქი, ახალ-ქალაქი და ახალციხის მაზრები. ლაშქარი ჟორდანიას კი უკუიქცა წითელი მარსელიოზის სიმღერით.

* * *

დაღონდა ნოე აწ უკვე სრულიად საქართველოს მეფეთ მეფე და მთავრობის თავმჯომარეთ წოდებული მიხვდა დანაშაულსა თვისსა და განდევნა ეშმაკი იგი თვისგან წყრომითა და რისხვით.

* * *

ეხლა როგორც, დედაქალაქიდან გვატყობინებს ჩვენი თანამშრომელი, ვინმე ისკანდერბეგი, განრისხებული ეშმაკი იგი დევნილი ნოეს მიერ, ხან ცხინვალში ამოყოფს თურმე თავს, ხან დუშეთში, ხან სამეგრელოში, ხან ბაღდათში ხან ლეჩხუმში და იძიებს შურს ნოე მბრძანებელისას, რომელთანაც დიდი ბრძოლა უხდება ჟორდანისა მას, სახალხო გვარდიის სახით, რომელსაც ხოტბასა და შესხმას უძღვნინ მთელი რიგი „ერთობის მგოსნებისა“.

ნიმუში — შესხმა ხოტბისა:

**სახალხო გვარდიას.**

რკალიდან „ერთობის წითელი მგოსნები“

სახალხო გვარდიას<br>
მიუძღვნი ვარდიას<br>
და ჩემს გულს დარდინს<br>
მივართმევ ვაშლ--ბიას<br>
და სხ.

დასრულდა ესე ამბავი მთქნარებითა ჩემითა და ვეღარ გავარჩიე სტრიქონნი დანარჩენნი, ლექსისა ამისა, ვინმე ლ. მეჩანგურესი.

**ლიაუდბეგ.**

## საუბარი გლეხებთან.

ახი წლის ტყვეობა ცოტა ხანი არ არის? ასეთ ტყვეობას განიცდიდა ქართველი საზოგადოება უკანასკნელი საუკუნის განვითარებაში, ჩვენი წინაპრები, ხალხისათვის თავდადებული მამულიშვილები, ბევრს ცდილობდნენ ამ ტყვეობისაგან განეთავისუფლებინათ ჩვენი სამშობლო, მაგრამ თურქეთი უფრო ძლიერ იყო მაგრად ჰყავდა იგი ჩამწყვდეული საგანგებოდ მოწყობილ ცხრა—კლიტურში, რომ ხსნა და განთავისუფლება არსაიდან სჩანდა. ყოველ მხრივ შემოზღუდული თავისუფლება ჩვენი ხალხისა თანდათან ილუპებოდა და უფსკრულის პირს უახლოვდებოდა. მართალია ჩვენი ქვეყნის რჩეული ადამიანები ტყვეობიდან განთავისუფლების იმედს არ კარგავდენ, მაგრამ თუ ეს განთავისუფლება ასე მალე, მოულოდნელად კარს მოგვადგებოდა ეს კი არავის ეგონა.

მიმდინარე წლის 26 მაისს მოვესწარით იმას, ვიმეორებ, რისთვისაც რჩეულნი ჩვენი ქვეყნისანი თავს სდებდენ, სიცოცხლეს სწირავდენ. ამ დღეს გამოცხადდა საქართველოს თავისუფლება, ამ დღეს მიჯაჭული ამირანი, ტყვეობაში სულ მილეული განთავისუფლდა და თავის ტურფა და საყვარელ სამშობლოს დაუბრუნდა. ჩვენ მტრებს, რასაკვირველია, ამ საშვილთაშვილო აქტის გამოცხადებით თავს ზარი დაეცათ, ძაძით შეიმოსენ და საგონებელში ჩავარდენ.

ეს ვაჟბატონები დღეს ჩვენი თავისუფლების შესახებ აშკარად დაირაზმენ და მის განადგურებას ცდილობენ. მათ ხიიმხრეს ჩვენი ქვეყნის ნაძირალები და „ბოლშევიკების“ სახით სხვადასხვა კუთხეებში არეულობის მოსახდენად გამოდიან. ქურდს და ყაჩაღს სულსა დაგულს ურჩევნია ბნელი ღამე და ამღვრეული წყალი. აი ეს ჩვენი თავისუფლების მტრებიც ცდილობენ ბნელეთის წყვდიადით მოიცვან მთელი საქართველო და ქვეყნის ბატონ-პატრონი თითონ შეიქნენ. ამ საშინელებისაგან თავისუფლებისა და ჩვენი ქვეყნის ხსნა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მარჯვენა ნაკურთხნო სოფლის ხალხო. ნუ აყვებით საქართველოს დაუძინებელ მტრებს და მხარს ნუ დაუჭერთ ქურდ-ბაცაცებს და საზოგადოების ნაძირალებს.

ნუ შიშობთ რომ პური არ მოგვეპოვება ყველაფერი თავის დროზე გამოსწორდება. მეცხრამეტე საუკუნემდის ჩვენ ძველებს რუსეთიდან არ მოდიოდა პური. მიუხედავათ ამისა ქართველები მშვენივრად ცხოვრობდენ. ნუ ჯავრობთ, ჩვენი ქვეყნის ნიადაგი, მეურნეობის კარგ ნიადაგზე დაყენების შემდეგ უფრო თეთრ პურს მოგცემსთ ვნემ სუსხიანი ჩრდილოეთი, მხოლოდ მოთმინებაა საჭირო.

**მ. ბუაჩიძე.**

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

**განცხადება.** პარუჩიკ ფეოდორიდს, მე 3 კლასის ვაგონში № 23 მატარებელში, რომელიც გამოვიდა თბილისიდან 28 ივლისს, დამრჩა კალათი რომელშიდაც სხვათა შორის იყო მოწმობები და კალათთან ერთად პალტო. ამიტომ ვთხოვ ზემო-მოხსენებულ ვაგონში მყოფ ქუთაისში მიმავალ ჯარის კაცებს, დააბრუნონ ნახული ბარგი გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში.

პატივისცემით; **ფეოდორიდი.**

1—1

**ვყიდი**

ქუთაისში სახლს, რომელიც შესდგება **ხუთი ოთახიდან, ორი სამზარეულოდან** და რამდენიმე **საკუჭნაოდან.** შენობაა **ქვის** და **აგურის. მიწა 204 ოთხკუთხი საჟენი.** პირობების გაგება და სახლის ნახვა შეიძლება სევერიან ჯიბლაძესთან, რომელსაც აქვს დუქანი ქუთაისის სადგურის პირდაპირ.

5 4

... სახლი, ქუთაისში.